

პავშირი  
"მეცნიერება და ენერგეტიკა"

# ქ მ ი რ გ ი ს

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

**1(89)/2019**  
თბილისი

---

## სარჩევი

გვ.

<b>დ.ჯაფარიძე, ვ.პახაძე.</b> ხელოვნურ განათებაში ენერგოდამზოგი საშუალებების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის ანგარიშის აღმორითმის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზება.....	5
<b>დ.ჯაფარიძე, ქ.უნგიაძე.</b> საქართველოში ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიით იმპორტის ჩანაცვლების ოპტიმალური მოდელირება.....	15
<b>თ.კოხერეიძე, რ.ხელაძე.</b> ენერგიის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის სისტემაში სადენების დენგამტარუნარიანობა და დანაკარგები ცვლად მაგნიტურ გელში.....	27
<b>თ.მუსელიანი, ქ.გუგუტიშვილი.</b> ენერგობიექტების მეხდაცვის პარამეტრების ნორმატიული დოკუმენტაციისა და გაანგარიშების მეთოდების ანალიზი.....	34
<b>თ.მუსელიანი, გ.გურგენიძე, გ.მუსელიანი, ნ.ლებანიძე-ასათიანი.</b> შუქდიოდური ნათურები და მათი ჰარმონიული სპექტრი.....	40
<b>ბ.ნაჭყავაძე, ლ.გაბუნია, მ.ტურაშვილი.</b> ელექტრონული აპლიკაციების ტექნოლოგიის გამოყენებით.....	46
<b>მ.მობალია, რ.დოჭვირი.</b> ახალი ობიექტების ელექტრომომარაგების ქსელთან მიერთების მოთხოვნების გამოკვლევა და ოპტიმალური ნუსხის განსაზღვრა ელექტრომომებრებლების ელექტროტექნოლოგიური დანადგა- რების გათვალისწინებით.....	51
<b>ნ.ავაგუმაშვილი.</b> ფინანსური მდგრადობის შეფასება საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე ენერგოგამანაწილებელი კომპანიის მაგალითზე.	56
<b>მრ.ხელიძე, გ.გარდალევიშვილი.</b> გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის შეფასება საქართველოს განსხვავებული წყლიანობის რეჟიმის მდინარეებისთვის.....	61
<b>მრ.ხელიძე, გ.ვივია.</b> საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება კლიმატის ცვლილების ფაქტორის გათვალისწინებით.	71
<b>გ.ახობაძე, გ.დოლიძე, ი.გალამბრიძე.</b> „ჭივიანი ქალაქის“ ერთიანი, ინტეგრირებული ვებ-პლატფორმა.....	76
<b>Н.БОЧОРИШВИЛИ.</b> Повышение долговечности железобетонных конструкций на пористых заполнителях при введении химических добавок.....	84
<b>ვ.აბულაძე, ჯ.ხუნტარია, ი.ჯორჯაძე, გ.ვიორგაძე.</b> ხმოვანი სიგნალის გადაცემის ქსელის უსაფრთხოების მოდელი.....	90

**დ.ჯაფარიძე, ვ.პახაძე.** ხელოვნურ განათებაში ენერგოდამზოგი საშუალებების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის ანგარიშის ალგორითმის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზება. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 5-14. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განათების ხელოვნურ განათებაში თანამედროვე ენერგოდამზოგი საშუალებების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების არსებული პრაქტიკა. ჩატარებული აკლევის საფუძველზე შერჩეულია მისი შეფასების კრიტერიუმი. კრიტერიუმი მოთხოვნებიდან გამომდინარე და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია თანამედროვე ენერგოდამზოგი მოწყობილობების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მრავალფაქტორიანი მათემატიკური მოდელი. შესაბამისად ჩამოყალიბებულია ამ მაჩვენებლის ანგარიშის ალგორითმი. შემოთავაზებული მეთოდიკის პრაქტიკული რეალიზება განხორციელებულია საქართველოს რკინიგზის ხელოვნური გარე განათების სისტემის მაგალითზე. ილ. 1, ცხრ. 2, ლიტ. 18.

**დ.ჯაფარიძე, ქ.უნგიაძე.** საქართველოში ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიით იმპორტის ჩანაცვლების ოპტიმალური მოდელირება. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 15-26. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მეცნიერული აკლევის საფუძველზე დადგენილია, რომ საშუალოვადიან პერიოდში (2018-2022 წწ.) საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება გადააჭარბებს მის წარმოებას. დაზუსტებულია ელექტროენერგიის იმპორტის პროგნოზული პარამეტრები. პრობლემის გადაწყვეტისადმი კრმპლექსური მიღებომით სიღრმისეულად შესწავლილია გენერაციის ადგილობრივი სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენებით გამომუშავებული დამატებითი ელექტროენერგიით იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობები. მიღებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავებულია ელექტროენერგიის იმპორტის ჩანაცვლების ოპტიმალური მოდელირების კრიტერიუმი და ჩამოყალიბებულია კრიტერიალური მოთხოვნები. იმპორტის ჩანაცვლების ეფექტიანობა შეფასებულია ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიის და იმპორტის საშუალო შეწონილი ტარიფების შედარებითი ანალიზით. ნაჩვენებია ჩანაცვლების სქემის ეკონომიკური ეფექტიანობა. აღნიშნულის გათვალისწინებით შემოთავაზებულია საქართველოში დამატებითი მიღებული ელექტროენერგიით, იმპორტის ჩანაცვლების ოპტიმალური მოდელირების სქემა და განხორციელებულია მისი პრაქტიკული რეალიზება. ილ.5, ცხრ.6, ლიტ. 8.

**თ.კოხლიძე, რ.ხ.მლაძე.** ენერგიის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის სისტემაში სადენების დენგამტარუნარიანობა და დანაკარგები ცვლად მაგნიტურ გელში. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 27-33. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

დამუშავებულია ენერგიის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის სისტემაში სადენების დენგამტარუნარიანობის და დანაკარგების ანგარიშის მეთოდები ცვლად მაგნიტურ გელში.

ნაჩვენებია, რომ ენერგეტიკული დანიშნულების ენერგიის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის დამუშავება და შექმნა მოითხოვს ზეგამტარული (ზგ) სადენების გამოყენებას მაღალი დენგამტარუნარიანობით და დაბალი დანაკარგებით. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენებით ლოკალიზებული მაგნიტური გელით (მზგადა), რომელშიც ურთიერთ გავლენა ცალკეული ძარღვების მაგნიტური გელების დაფარის მინიმუმამდე. გრაგნილების ასეთი შესრულებით დენგამტარუნარიანობა თითოეული ზგ ძარღვის განისაზღვრება საკუთარი მაგნიტური გელით და საკუთარი პარამეტრებით. ილ.2, ლიტ. 4.

**თ.გუსტავიანი, ქ.გუსტავიანი.** ენერგობიექტების მეხდაცვის პარამეტრების ნორმატიული დოკუმენტაციისა და გაანგარიშების მეთოდების ანალიზი. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 34-39. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ელექტროენერგეტიკის ობიექტების მეხდაცვის დაპროექტების შესახებ არსებული ნორმატიული დოკუმენტაციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, დადგენილია ახალი ნორმატიული დოკუმენტის დამუშავების საჭიროება, რომელიც გავრცელებული უნდა იქნეს რაც შეიძლება ობიექტების მაქსიმალური რაოდენობის ტიპებზე და მოგვცეს მაქსიმალურად მკაფიო გადაწყვეტილი და არა ბუნდოვანი ზოგადი დებულებები. არსებობს

ცხადი საჭიროება ისეთი ალგორითმების შექმნისა, რომლებიც იძლევიან მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაძლებლობის გაფართოებისა და ასევე მაქსიმალური სწრაფმოქმედი დაპროექტების პროცესის აგტომატიზაციის შესაძლებლობას. ილ.2, ლიტ. 8.

**თ.მუსელიანი, გ.გურგენიძე, გ.მუსელიანი, ნ.ლეგანიძე-ასათიანი.** შუქდიოდური ნათურები და მათი პარმონიული სპექტრი. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 40-45. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

როგორც შუქდიოდური ნათურების გამოკვლევებმა გვიჩვენა, მათ შეუძლია ქსელში დანის უმაღლესი რიგის პარმონიკების გენერირება და 0,4 კგ ძაბვის ქსელებისათვის შეიძლება ადგილი პქონდეს ნეგატიური მოვლენების რისკს. ამიტომ ვარგარების ნათურის უბრალოდ მექანიკური შეცვლა შუქდიოდური ნათურით პარმონიკების წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ღონისძიების გარეშე მაღალი ალბათობით ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს. ილ.4, ლიტ. 5.

**გ.ნაჯუმაია, ლ.გაბუნია, გ.ტურაშვილი.** ელექტრონული აპოსტილი ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენებით. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 46-50. ქართ. ანოტ. ინგლ. რუს.

სტატია ეხება ელექტრონული აპოსტილის სტრუქტურულ მხარეს, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს მასშტაბით ელექტრონული დოკუმენტების ელექტრონული აპოსტილით დამოწმების მიზანშეწონილობას და დამოწმებული დოკუმენტის დაცულობას. ავტორებს მიაჩნიათ, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმ ინოვაციური გზების გამოვლენა, რომელთა დამკვიდრება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა ქვეყანას ახალი სერვისის დამკვიდრების საშუალებას მისცემს, რაც, თავის მხრივ, უფრო დაცულს და კომფორტულს გახდის სერვისს და ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შექმნას. ასევე, ახალი გაანალიზებული ტექნოლოგიის ბლოკჩეინის სისტემის გამოყენება, მისი თანაბარ-უფლებიანი (peer-to-peer) და დეცნტრალიზებული სტრუქტურის წყალობით იძლევა ყველაზე თანამედროვე დაარქივების შესაძლო გზას. კერძოდ, კრიპტოგრაფიული ელემენტების გამოყენებით შექმნილი დოკუმენტების დაარქივების ყველაზე თანამედროვე მეოთხის მეშვეობით, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ელექტრონული აპოსტილის გაყალბება.

წარმოდგენილია მოცემული პროცესის ახალი მოდელი, რის შედეგადაც გაცილებით უფრო ეფექტიანი გახდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან. ცხრ. 1. ლიტ. 7.

**გ.მობალია, რ.დოჭვირი.** ახალი ობიექტების ელექტრომომარაგების ქსელთან მიერთების მოთხოვნების გამოკვლევა და ოპტიმალური ნუსხის განსაზღვრა ლექტრომომებარებდების ელექტროტექნოლოგიური დანადგარების გათვალისწინებით. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 51-55. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ელექტრომომარაგების სისტემის ელექტრულ ქსელთან ახალი ობიექტების მიერთებისას, ელექტრომომებარებების უნდა წარედგინოს არა საერთო ყველა ელექტროენერგიის ხარისხის მაჩვენებლების მომცველი მოთხოვნების ნუსხა, არამედ ინდივიდუალური. შესაბამისად ელექტრომომებარებლის შემადგენლობაში შემავალი ელექტროტექნოლოგიური დანადგარების მუშაობის რეჟიმების გამოკვლევის საფუძველზე უნდა განისაზღვროს, რომელი სახისა და რა პარამეტრების კონდუქტიური ელექტრომაგნიტური დაბრკოლებები წარმოიქმნება ქსელის ელემენტებში, როგორი იქნება ელექტროენერგიის ხარისხის მაჩვენებლები და დადგინდეს მათი საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებთან შესაბამისობა ელექტრომაგნიტური თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით. ცხრ.1, ლიტ. 8.

**გ.ავაგშვაშვილი.** ფინანსური მდგრადობის შეფასება საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე ენერგოგამანაწილებების კომპანიის მაგალითზე. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 56-60. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ბოლო დროს დიდი უურადღება ეთმობა ფინანსური რისკების პროგნოზირების კონცეფციას. ფინანსური მოდელები, რომელებიც ითვალისწინებენ ერთეულის რიცხვითი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლიობას, შესაძლებელია უფრო სასარგებლო იყოს ფინანსური რისკების პროგნოზირებისთვის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ A-ანგარიშზე (A-score), რომელიც ცნობილია როგორც ჯ.არგენტის მეთოდი. მრავალ კრიტერიუმებისა და მრავალპროფილიანი ანალიზის მეთოდებისგან განსხვავებით, ეს მეთოდი ავლენს არა მხოლოდ კომპანიის გადახდისუუნარობის, არამედ უზრულევყოფს ხარისხის მაჩვენებლით, ისეთი, როგორიცაა მართვის მენეჯმენტი. ცხრ. 1, ლიტ. 3.

**მრ. ხლიძე, გ. მარდალევიშვილი.** გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის შეფასება საქართველოს განსხვავებული წყლიანობის რეჟიმის მდინარეებისთვის. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 61-70. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მდინარეთა კვების სხვადასხვა ტიპის შესაბამისი მდინარეთა პიდროგრაფები ასახავს მდინარეთა განსხვავებულ წყლიანობის რეჟიმებს, რომელთა ანალიზის შედეგად მიღებულია, რომ მდინარეებისათვის, რომელთა წყალუხვი პერიოდის ჩამონადენი შეადგენს წლიური ჩამონადენის არანაკლებ 60%-ს და კონცენტრირებულია გაზაფხულ-ზაფხულში და ამასთან წყალუხვობის პერიოდის წყლის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს წლის დანარჩენი პერიოდის წყლის ხარჯებს, გარემოსდაცვითი წყლის ხარჯი წყალმცირობის პერიოდში უნდა იყოს დაკვირვებული მინიმალური წყლის ხარჯის საშუალო მნიშვნელობაზე (არსებული დაკვირვებების რიგის შესაბამისად), ხოლო წყალუხვობის პერიოდში კი - ამავე პერიოდის თითოეული თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯის 10%-ზე არანაკლები. მდინარეებისთვის, რომელთა წყალუხვი პერიოდის ჩამონადენი სრული წლიური ჩამონადენის 50%-ის ფარგლებშია, წყალმცირობის პერიოდში გარემოსდაცვითი წყლის ხარჯი უნდა იყოს თითოეული თვის მინიმალურ წყლის ხარჯზე (არსებული დაკვირვებების რიგის შესაბამისად), ხოლო წყალუხვობის პერიოდში კი - თითოეული თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯის 10%-ზე არანაკლები. მდინარეებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ გამოკვეთილი წყალდიდობის რეჟიმი, გარემოსდაცვითი წყლის ხარჯი შეიძლება მიღებულ იქნეს თითოეული თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯის 10%, მაგრამ არანაკლები დაკვირვებული მინიმალური წყლის ხარჯის მნიშვნელობაზე. შემოთავაზებული მიღვინა გარემოულად კომპრომისულია, ვინაიდან იგი ითვალისწინებს როგორც წყალ-სამეურნეო კომპლექსის მონაწილეთა ინტერესებს, ასევე ძირითად გარემოსდაცვით პირობებს. ილ.8. ლიტ. 2.

**მრ. ხლიძე, გ. ჭითაძე.** საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება კლიმატის ცვლილების ფაქტორის გათვალისწინებით. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 71-75. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

საქართველოს მდინარეების თეორიული პიდროგენეროპოტენციალი გასული საუკუნის 80-იან წლებში იქნა შეფასებული. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ გარკვეული გავლენა მოახდინა მდინარეთა წყლიანობაზე. შემოთავაზებულია საქართველოს მდინარეების ენერგოპოტენციალის შეფასება კლიმატის ცვლილების გავლენით. ამ მიზნით განხილულ იქნა საქართველოს შვიდი რეგიონის 17 მდინარის ის უბნები, რომლებიც არ იყო დაქვემდებარებული ანთოპოგენურ ზემოქმედებას. ჩატარებულმა ანგარიშებმა აჩვენა საქართველოს მდინარეების თეორიული ენერგოპოტენციალის არსებითი ცვლილება ზემოთ აღნიშნულ შედეგებთან შედარებით, რაც მიუთითებს მდინარეების ენერგოპოტენციალის ხელახლი გადათვლის მიზან-შეწონილობას. ცხრ. 1, ლიტ. 6.

**გ. ახრბაძე, გ. ღორღიაძე, ი. ჭალაშვილი.** „ჭალაშვილი“ ერთიანი, ინტეგრირებული ვებ-პლატფორმა. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 76-83. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

"ჭალაშვილი“ პლატფორმა, რომელიც დაფუძნებულია ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებზე, როგორიცაა Google Maps და ვებ-სისტემები, ცალსახა კონკურენტულ უპირატესობაშია სხვა მსგავს პროგრამებთან. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ვებ-ტექნოლოგია საშუალებას აძლევს მომსმარებელს წვდომა პქონდეს პლატფორმაზე ისეთი მოწყობილობებიდან, როგორიცაა მობილური ტელეფონი და ნების-მიერი პლანშეტური კომპიუტერი. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ Google-ი რუკებს ანახლებს ყოველდღიურ რეჟიმში, რაც აგტომატურად აისახება პლატფორმაში და ამგვარად იზოგება უმრავი რესურსი რუკების განახლებისა, რომლებსაც სხვა

პლატფორმები საჭიროებენ. პლატფორმის ტექნოლოგიურ წარმატებაში საკვანძო როლს თამაშობს ფინანსური სახსრების გენერირება, რომელიც ავტომატურად ონლაინ რეჟიმში ხორციელდება პლატფორმაში დაინტეგრირებული გადახდის მეთოდების საშუალებით, რაც დამატებით დიდი კონკურენტული უპირატესობაა. პლატფორმის სიახლეს წარმოადგენს მისი სისტემური სტრუქტურული პარადიგმა, რომელიც უნიკალურია და მორგებულია მომხმარებლების საჭიროებაზე. პლატფორმა საშუალებას აძლევს დიდ კორპორაციებს ავტომატურ რეჟიმში მიაწოდონ პლატფორმას მონაცემები Restful API-ის საშუალებით, რომელთა გამოყენებას შეძლებენ სხვა ორგანიზაციები. ლიტ. 9.

**მს უბავი რპინაბათონის კონსტრუქციების ხარედაგობის ამაღლება გასში ძირი დანამატების შემვანით.**

ნ.პოჭორიშვილი. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 84-89. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს. გაანალიზებულია ბეტონისა და რკინაბეტონის ტექნოლოგიების განვითარების და სრულყოფის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება - მასში ქიმიური დანამატების გამოყენება, რაც იწვევს რკინაბეტონის კონსტრუქციების ხანძედებობისა და ხარისხის ამაღლებას.

განხილულია შემცვების ფორების ქიმიური დანამატების ნარევით შევსების 4 მეთოდი. ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბეტონში ქიმიური დანამატების გამოყენების ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება აღმოჩნდა 1 მეთოდი, რომლის უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ ქიმიური დანამატების ყველაზე საუკეთესო კონცენტრაციას ადგილი ქონდა შემცვებისა და ცემენტის ქვასთან საკონტაქტო ზონაში, რაც ხელს უწყობდა შეკვრის პროცესების ინტენსიურ განვითარებას, რის შედეგად ბეტონი ხასიათდება მაღალი სიმტკიცით, ცემენტის ქვისა და ფორმვანი შემცვების მაღალი შეჭიდების უნარით, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები. ლიტ. 5 დას.

**ვ.აბ ულაძე, პ.ხ უნცარია, ი.ჯორჯაძე, გ.გირიბაძე. ხმოვანი სიგნალის გადაცემის ქსელის უსაფრთხოების მოდელი. "ენერგია". №1(89). 2019. თბილისი. გვ. 90-95. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

სესიის ინიცირების პროტოკოლზე (SIP-Session Initiation Protocol) დაფუძნებული ხმის გადაცემა VoIP-ქსელით (VoIP-Voice over Internet Protocol- ხმის გადაცემა ინტერნეტ პროტოკოლის საშუალებით) წარმოიქმნა როგორც ხმოვანი კომუნიკაციის დე-ფაქტო სტანდარტი, რის გამოც ლია SIP-ზე დაფუძნებული ინტერფეისების მხარდაჭერა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კერძო სატელეფონო საკომუტაციო სისტემით (IP-PBX-Private Branch Exchange) აღჭურვილ ორგანიზაციებში. იგი გამოიყენება მომხმარებლებს შორის ინტერაქტიური კომუნიკაციის დაწყებისთვის. იგი განვითარებადი ტექნოლოგიად. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა, რომ ის წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს მომხმარებელი ორგანიზაციების, რაც ვლინდება უკანონო ან არაავტორიზებული გამოყენების შემთხვევაში ფულის მნიშვნელოვანი დანაკარგების სახით. VoIP სისტემების უფრო მეტად გავრცელებასთან ერთად იზრდება უსაფრთხოების გამოწვევები და რისკები, რის გამოც უნდა გატარდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.

განხილულია ქსელის უსაფრთხოების რისკები, ხარვეზები და SIP-ზე დაფუძნებული VoIP ქსელის დაცვის არსებული მეთოდები. წარმოდგენილია SIP-პროტოკოლზე დაფუძნებული VoIP სისტემების უსაფრთხოების დამუშავებული მოდელი, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს VoIP ქსელის მომხმარებელთა ხმოვანი ტრაფიკის ხელმისაწვდომობას, მთლიანობასა და კონფიდენციალობას. აღწერილია დამუშავებული მოდელის განხორციელების ტექნიკა. ილ. 2. ლიტ. 5.